ლიდა ობოლაძე, ანა ფიფია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Lida.oboladze@atsu.edu.ge; pipiaanna75@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.50

სამეტყველო კომუნიკაციის მნიშვნელობა ენის სწავლების პროცესში

საკვანძო სიტყვები: სამეტყველო კომუნიკაცია, ენის სწავლება

კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის ან იდეების გაცვლას ვერბალურად (სიტყვიერად), არავერბალურად (არასიტყვიერად), თუ წერილობით. ეფექტიანი კომუნიკაცია გულისხმობს არამარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებას, რაც ითვალისწინებს მოსმენას, დაკვირვებას და შეგრძნებას. ადამიანების უმრავლესობა ფიქრობს, რომ არა აქვს პრობლემა კომუნიკაციაში, თუმცა თუ სისტემურად დავაკვირდებით ჩვენს კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, აუცილებლად ვიპოვით ხარვეზს. მასწავლებელს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, თუ როგორი რეაქცია ექნება მოსწავლეს შეთავაზებულ აქტივობაზე, საუბარზე ან დასმულ შეკითხვაზე. მასწავლებლის რეაქცია, ვერბალური თუ არავერბალური, ნებისმიერ საკლასო სიტუაციაში გავლენას ახდენს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე. იმისათვის, რომ მასწავლებელს შესაბამისი რეაქცია ჰქონდეს, სჭირდება კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და იმის გაგების უნარი, თუ რას როგორ აღიქვამენ მოსწავლეები.

მასწავლებლის ხმა საკლასო სამეტყველო კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ხმას აქვს ზოგიერთი ფიქსირებული თვისება, რომელიც აძლევს მას განსაკუთრებულ ხასიათს. აქედან გამომდინარე, სასურველი ეფექტის მისაღწევად, თქვენ შეგიძიათ შეცვალოთ ხმის დონე, ბგერის სიმაღლე, ტონი, მკაფიოობა და გამომხატველობა, რათა ხმა უფრო ეფექტურად გამოიყენოთ და ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, რასაც ამბობთ.

მეტყველება არა მხოლოდ შინაარსის გადაცემის, არამედ მოსწავლესთან ურთიერთობის საშუალებაა. მოსწავლეთა სახელების გამოყენება, მათი კლასგარეშე ცხოვრებით დაინტერესება, მათი გამოცდილების დაფასება ქმნის სამეტყველო კომუნიკაციისთვის დადებით ატმოსფეროს. დისციპლინის დასამყარებლად მასწავლებელი მეტყველებას ხშირად უარყოფითი ფორმით იყენებს. თუმცა, დადებით მიდგომას უფრო მეტი შედეგი მოაქვს. ყველა ადამიანს შეუძლია ისწავლოს სასიამოვნო საუბარი, არეგულიროს საკუთარი ხმის სიმაღლე და საუბრის ტემპი. კარგია, თუ შეგვიძლია სხვადასხვა ტონალობის ეფექტიანად გამოყენება, მაგრამ არ უნდა ვილაპარაკოთ ძალიან ხმამაღლა, თუ ამის უკიდურესი აუცილებლობა არ არის. ცნობილია, რომ ხმამაღლა მოსაუბრე მასწავლებელს ჰყავს ხმაურიანი კლასი. თუ ვყვირით, მაშინ ყვირილი ჩვევაში გადადის. თუ მასწავლებელი მკაფიოდ და ნათლად გამოთქვამს სიტყვებს, შესაძლოა, ხმადაბლა ნათქვამიც გასაგები იყოს მთელი კლასისთვის. ხმის რეგულაცია და პროექცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კომუნიკაციაში. მასწავლებელი ვერ შეძლებს

ეფექტიან კომუნიკაციას, თუ მისი ხმის სიმაღლე მისაღებია, მაგრამ სიტყვებს ნათლად და მკაფიოდ არ გამოთქვამს (არველაძე 34:2023).

ადამიანი სოციალური არსებაა. შესაბამისად, სოციალური კომუნიკაციის დამყარება ადამიანის ერთ-ერთი საბაზისო მოთხოვნილებაა. წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უმთავრესი იარაღი კი ენაა. მისი სწორად ათვისება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის განვითარების პროცესში. ჩვილობის ასაკში ბავშვები უპირატესად არავერბალური გზით (ჟესტები, სხეულის პოზა, მიმიკები) ამყარებენ კომუნიკაციას. პარალელურად, მიმართული მეტყველების გადამუშავების გზით, იყალიბებენ პასიურ ლექსიკურ მარაგს.

ცნება „ენის“ განმარტებამდე, თავდაპირველად დავახასიათოთ ენა, რაც მისი განმარტების ჩამოყალიბებაშიც დაგვეხმარება.

1. ენა არის სიმბოლოების (ნიშნების) კოდირებული სიტემა, რომელიც შეტყობინებების გადასაცემად გამოიყენება;

2. ენა არის სამყაროს შესახებ იდეების რეპრეზენტაციის საშუალება. მაგალითად, თუ ერთ ადამიანს უნდა კომუნიკაციის დამყარება მეორესთან, მას შეუძლია მოიტანოს ყველა საჭირო ნივთი, მიუთითოს მათზე და ასევე გადმოსცეს თავისი ჩანაფიქრი. ენა, თავისთავად ცხადია, ამ პროცესს საგრძნობლად ამარტივებს. ჩვენ შეგვიძია საუბრის დროს გამოვიყენოთ სიტყვები ამა თუ იმ ცნების გადმოსაცემად ყოველგვარი საჭირო ნივთების თვალსაჩინოებად გამოყენების გარეშე;

3. ენას აქვს კონვენციური ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული ენის გააზრება ხდება ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაში. არაკონვენციური ენა მკვდარია, მაგალითად, ლათინური;

4. ენა არის სისტემა, რომელშიც არსებობს კოდების განლაგებისთვის საჭირო წესები და რეგულაციები. სწორედ ეს ხდის მას სწავლებადს და პროგნოზირებადს;

5. კომუნიკაციის დამყარების მიზნით , ენაში, უმეტესწილად , არბიტრარული სიმბოლოები გამოიყენება. მაგალითად: სიტყვა,, dog'' არც გრაფიკულად და არც ჟღერადობით ძაღლს არ ჰგავს. ეს სიტყვა არის ფონემების შემთხვევითი ერთობლიობა, რაც აღნიშნავს ოთხფეხა, ბეწვიან, მოშინაურებულ არსებას, რომელიც ყეფს;

6. ენა გენერაციულია: მისი გამოყენებით ადამიანი მუდმივად ქმნის ახალ ნარატივს. მაგალითად, სწავლების პროცესში, მე, როგორც მასწავლებელი, ერთი და იმავე თემის ახსნისას შეიძლება ტექსტის ძირითად შინაარსს სხვადასხვა სიტყვებით გადმოვცემდე. მე ,,ვქმნი'' ახალ წინადადებებს, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი უცვლელია;

7. ენა დინამიკურია, რადგან ის დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებას. მაგალითად, ძველი, საშუალო და თანამედროვე ინგლისური: ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრება და/ან გრამატიკული წესების ცვლილება;

8. ენებს უნივერსალური, ყველასათვის საერთო მახასიათებლები აქვთ. ყველა ენაში არსებობს არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და, რაც მთავარია, წესები.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ენის განმარტება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „ენა გენერაციული და დინამიკური, უნივერსალური მახასიათებლების მქონე სიმბოლური სისტემაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამყაროს შესახებ აზრების გამოხატვა, გაზიარება კომუნიკაციის პროცესში არბიტრული, მაგრამ კონვენციური სიმბოლოების გამოყენების გზით“. უნდა აღინიშნოს , რომ ეს განმარტება ბლუმისა და ლეის მიერ ჩამოყალიბებული ენის განმარტების ადაპტირებული ვარიანტია.

ამერიკის მეტყველების, ენისა და სმენის ასოციაციის განსაზღვრებით (https://www.asha.org/public/ speech/development/speech-and-language/), მეტყველება ეს არის ბგერებისა და სიტყვების წარმოთქმის პროცესი. მეტყველება აერთიანებს: არტიკულაციას; ხმას; მოქნილობას.

არტიკულაცია გულისხმობს ბგერების წარმოქმნას სამეტყველო აპარატში. სამეტყველო აპარატში მოიაზრება: ტუჩები, ენა, ცხვირი, ხახა, მაგარი და რბილი სასა, კბილები, ყბები, ალვეოლარული წანაზარდი, ხორხი, სახმო სიმები, სასუნთქი სისტემა.

ხმა წარმოიქმნება სახმო სიმებისა და სუნთქვის გამოყენებით ბგერების გამოცემის გზით. ჩვენი ხმა შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი ტონალობის. ჩვენ შეგვიძლია დავიზიანოთ ხმა ბევრი ლაპარაკით, ხშირი ყელის ჩაწმენდით ან ხველით.

მეტყველების მოქნილობის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. ყველაზე ხშირად მოქნილობა განისაზღვრება, როოგორც სამეტყველო კუნთთა მოქმედების მიმდინარე და შეფერხების გარეშე ნაკადი. მოქნილად მიმდინარე მეტყველება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. ტემპით(რატე), სიტყვებსა და სიტყვებს შორის შესატყვისი დროის განაწილებით: 2. განგრძობითობით, სიტყვებსა და სიტყვებს შორის მოქნილი კავშირებით: 3. ძალისხმევით(ტესიონ ეფფორტ), ძალის ან დაძაბულობის შესატყვისი რეგულაციით.

სამეტყველო კომუნიკაცია არის ინფორმაციის, აზრების, სურვილების, ფიქრების, გრძნობებისა და საჭიროებების გაცვლის/გაზიარების პროცესი. კომუნიკაციის დამყარება შესაძლებელია სხვადასხვა მოდალობის მეშვეობით. ესენია: ვერბალური, წერილობითი და ჟესტური ენა, ხატვა, ჟესტიკულაცია და პანტომიმა.

კომუნიკაციური ინტერაქცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას გამგზავნსა და მიმღებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში გამგზავნი გასცემს ინფორმაციას, ამ პროცესს ეწოდება კოდირება, ხოლო მიმღები ახდენს ამ ინფირმაციის დეკოდირებას, ანუ აღქმა-გაგებას.

ენის, მეტველების და კომუნიკაციის განვითარების თეორიებს: ბიჰევიორისტული თეორია, სოციალურ-კულტურული განვითარების თეორია, ნატივისტური თეორია და სემანტიკურ-კოგნიტური თეორია-დაეხმარება მასწავლებელს კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში, სწავლების ყველაზე ეფექტური მიდგომის შერჩევაში:

ბიჰევიორისტული თეორია ეფუძნება სკინერის 1957 წლის ნაშრომს (verbal behavior), რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად ეფუძნება სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორიას. სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორია გულისხმობს, რომ ადამიანის ქცევათა უმრავლესობა ქცევასა და მის შემდგომ მიწოდებულ სტიმულს (შედეგი) შორის ჩამოყალიბებული კავშირის შედეგია. ამ თეორიის თანახმად, ადამიანის მეტყველება წარმოადგენს ქცევის განსაკუთრებულ ფორმას, ვერბალურ ქცევას. ენის ათვისება და შენარჩუნება ხდება გარემოს იმავე გრემოებებიდან (განმტკიცება, მოტივაციური ოპერაციები, სტიმულის კონტროლი) გამომდინარე, რაც არავერბალური ქცევის შემთხვევაში გვხვდება სტიმული-ქცევა-შედეგის მოდელის ფარგლებში. ქცევის შენარჩუნებისა და შეცვლისთვის მნიშვნელოვნია წარსულში ამ ქცევის შემდგომ გარემოში განხორციელებული ცვლილება (შედეგი), რაც წარმოადგენს სკინერის თეორიის ქვაკუთხედს. რეაქციის შედეგად ხდება სასურველი ქმედების ფორმირება ან არასასურველი ქცევის ჩაქრობა. სასურველი ქცევის ფორმირებისა და არასასურველი ქცევის ჩაქრობისთვის ბიჰევიორისტები გამოყოფენ განმტკიცების (დადებითი და უარყოფითი), დასჯის (დადებითი და უარყოფითი) და ჩაქრობის მიდგომებს. (Sussman

123:2012).

სკინერი რამდენიმე ძირითად ვერბალურ ქცევას (ვერბალურ ოპერანტს) გამოყოფს. მაგ. მენდი (მოთხოვნა, თხოვნა), ტაქტი (არავერბალური სტიმულის დასახელება); ექოიკი (სხვა მოსაუბრის ვერბალური ქცევის გამეორება), ინტრავერბალი (დისკრიმინაციულ სტიმულზე საპასუხოდ გამოვლენილი ვერბალური ქცევა, რომელსაც არ აქვს ფიზიკური მსგავსება მოცემულ სტიმულთან, მაგ., კითხვაზე პასუხი: ''What day is it today??'' "Monday'', ლექსების წარმოთქმისას სხვისი დაწყებული სტროფის გაგრძელება და ა. შ.

ვიგოტსკის სოციო-კულტურული განვითარების თეორია ხაზს უსვამს ადამიანებს შორის სოციო-კულტურული კომუნიკაციის, აზრების გაზიარების როლს ბავშვის განვითარებისთვის. სოციალური ინტერაქცია ბავშვის კოგნიტური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. კოგნიტური განვითარება, თავის მხრივ, გულისხმობს გარშემომყოფი ადამიანებისგან მიღებული ინფორმაციის გადამუშავებას, შენახვას და კონტექსტის შესაბამისად გამოყენებას. შედეგად, ბავშვი სწავლობს დამოუკიდებლად აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და თვითრეგულაციას. სოციალური ინტერაქციის თეორია ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ ბავშვი ენას ითვისებს სხვა ადამიანებთან ინტერაქციისა და მის ირგვლივ არსებულ გარემოში გამოყენებული ენის გამოცდილების საფუძველზე, (წერა, მსჯელობა სხვადასხვა ორგანიზმებზე (ადამიანები, ცხოველები და ა. შ.) მოქმედებებზე (ცურვა, დალევა , მოვლენებსა და წვეულება, ფეხბურთის მატჩი) და პიროვნების სულიერ მდგომარეობებზე (გრძნობები, ცოდნა). ბავშვებს სოციალური ინტერაქციის მოთხოვნილება აქვთ. ენის ათვისება და განვითარება სწორედ ამ სოციალური ინტერაქციის შედეგია. ამ ურთიერთობების დროს მოზრდილები, რომელთაც მეტი ცოდნა აქვთ, ,,მეგზურობას'' უწევენ ბავშვებს ენის ათვისებისა და განვითარებაში (Weitzman 56:2004).

ნატივისტური თეორიის თანახმად, ბავშვები თავად არიან პასუხისმგებელნი ენის ათვისებაზე. მეტყველება არის უნიკალური უნარი, რომელიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი და ეს უნარი გენეტიკურად თანდაყოლილია. მეტყველება ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც სიარული. ნატივისტური თეორიის თანახმად, მთავარი აქცენტი ენის ბიოლოგიურ ასპექტზე კეთდება, თუმცა ნატივისტები ასევე თანხმდებიან, რომ ენისა და მეტყველების დაუფლების პროცესში გარემოსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სწორედ გარემო ახდენს გენეტიკური კოდის აქტივაციას.

ნატივისტური თეორიის ერთ-ერთ პიონერად ითვლება ამერიკელი ლინგვისტი ნოამ ჩომსკი. ნატივისტური თეორიის თანახმად, ენობრივი განვითარება არის ენის ათვისების მექანიზმის დამსახურება. ენის ათვისების მექანიზმი არის თანდაყოლილი ინფორმაცია ენის სტრუქტურული წესების შესახებ. სწორედ ამ თანდაყოლილ ინფორმაციას ეწოდა ჩომსკის უნივერსალური გრამატიკა, რომელიც მოიცავს სიღრმისეულ და ზედაპირულ სტრუქტურებს. სიღრმისეული სტრუქტურა არის მეტყველებისთვის საჭირო ბაზისური სტრუქტურა. ის ყველა იმ ასპექტს მოიცავს, რომლებიც წინადადების წარმოებისთვის არის საჭირო.

სემანტიკურ-კოგნიტური თეორია-სემანტიკური რევოლუციის პერიოდში, თეორეტიკოსებმა ენის სტრუქტურიდან ყურადღება მის მნიშვნელობაზე გადაიტანეს. მთავარი აქცენტი, კოგნიტური პროცესებისა და ენის შესწავლის ურთიერთკავშირზე გადავიდა. თეორიის მხარდამჭერთა მიხედვით, „მეტყველების განვითარება დაკავშირებულია აზროვნების განვითარებასთან, ხოლო მნიშვნელობის გასაგებად – ჩვენი

ენობრივი უნარების გამოყენებასთან“ (ჰულიტი, ლ., ჰოვარდი, მ., ფეჰი, კ., 2012:44). სემანტიკური მიმართულების მომხრეების მტკიცებით, ,,იმისთვის, რომ ენა რეალურად იყოს წარმომშობი, მან სტრუქტურასთან ერთად მნიშვნელობაც უნდა წარმოშვას. ენაში მნიშვნელობა გამოიხატება არა მარტო სიტყვებით, არამდე სიტყვების ერთმანეთთან სინტაქსური მიმართებითაც’’.

ფილმორის მიხედვით, წინადადება შედგება ორი კომპონენტისგან:

მოდალურობა;

პროპოზიცია.

მოდალურობის ობიექტია წინადადების მახასიათებლები, მაგალითად , ზმნის დრო ან კითხვა-უარყოითი აზრის გამომხატველები.

პროპოზიციის ინტერესის სფერო წინადადებაში არსებითი სახელებისა და ზმნების ურთიერთმიმართებაა. ყოველი პროპოზიცია წარმოადგენს წინადადების ტიპს.

ჩომსკი და ფილმორი თანხმდებიან მოსაზრებაზე ენის პროდუქციის შესახებ. ისინი მიიჩნევენ , რომ ,, ენის პროდუქცია წარმომშობი პროცესია და ენის ათვისების შესახებ ნებისმიერი თეორია უნდა იძლეოდეს ახსნას, თუ როგორ წარმოიშობა ენა”. თუმცა, მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული მათ შორის განსხვავება. ჩომსკის თეორიაში წარმოდგენილია სტრუქტურის, ხოლო ფილმორის თეორიაში-სემანტიკური ურთიერთობების წარმოშობა (რაც თავისთავად, სტრუქტურის საფუძველია).

სიტყვის ათვისების პროცესში გამოიყოფა ორი ტიპის ცოდნის სტრუქტურა: მოვლენებზე დაფუძნებული (event-based) და ტაქსონომიური.

მოვლენებზე დაფუძნებულ ცოდნაში მოიაზრება თანმიმდევრული მოვლენები ან რუტინული მოქმედებები, რომლებიც გარკვეული მიზნით ხორციელდება. ამ მოვლენების თუ მოქმედებების საფუძველზე ბავშვი იღებს ინფორმაციას, იძენს ცოდნას, რასაც შემდგომ თავადვე გამოიყენებს მსგავსი მოვლენების ინტერპრეტირებისთვის.

ტაქსონომიური ცოდნა გულისხმობს სიტყვათა კლასებისა და კატეგორიების ცოდნას. მოვლენებზე დაფუძნებული ცოდნა ლექსიკური მარაგის გამდიდრების მთავარი წინაპირობა და ტაქსონომიური ცოდნის საფუძველია.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ არის შემთხვევები, როდესაც სემანტიკური და კოგნიტური განვითარება ყოველთვის არაა თანმხვედრი. მაგალითად, ბავშვებმა იციან, რა სურთ(კოგნიცია), მაგრამ ყოველთვის ვერ იყენებენ მართებულ სემანტიკას ან გრამატიკას თავისი სურვილების გამოსახატავად.

ენის ათვისებისა და განვითარების პროცესზე გონებრივ, შიდა ფაქტორებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გარემოს-გარე ფაქტორებს. თუმცა, ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ უნდა გამოვრიცხოთ გარე ფაქტორები. სოციალური ინტერაქციის დაწყებისთანავე ბავშვს სწორედ თანამოსაუბრესთან კომუნიკაცია ეხმარება ენის შესწავლასა და განვითარებაში.

ადრეული კოგნიტური განვითარების ეტაპზე ბავშვები გარემოდან მიღებულ ინფორმაციას იგებენ, აკავშირებენ მნიშვნელობასთან და არგებენ მას საკუთარ ცოდნას, კონსტრუირებას. ამ პროცესშიც ვითარდება ე.წ. კოგნიტური სქემები. რაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც გარემოდან მიღებული გამოცდილების მენტალური რეპრეზენტაცია.

ჟან პიაჟეს მიხედვით, ,,სქემა’’ არის კოგნიტური სტრუქტურების მექანიზმი, რომელიც ბავშვებში ვითარდება გარემოსთან ადაპტაციის, შემეცნების და ინტერპრეტირების

პროცესში. შემეცნებითი აზროვნების ზრდას პიაჟე განიხილავდა, როგორც გარემოსთან ადაპტაციის შედეგს, რომელიც მიიღწევა ასიმილაციის, აკომოდაციის და კონსტრუქციის შედეგად. ასიმილაციაა ესაა მიღებული ინფორმაციის გაგება არსებული ცოდნის საფუძველზე, ხოლო აკომოდაცია- შემეცნებითი სტრუქტურების გადაწყობა ახალი ინფორმაციის მიღების საფუძველზე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ბავშვი აგებს ცოდნას, ანუ ახდენს მის კონსტრუქციას (Westwoo 87:2002).

უნდა აღინიშნოს, რომ სამეტყველო კომუნიკაციის მნიშვნელობა ენის სწავლების პროცესში ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნული თეორიების ურთიერთმიმართებას, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად არ არის გამიჯნული და დამოუკიდებლად არ არის წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთშია ინტეგრირებული. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც რომ ამ ეტაპების ასაკობრივ კატეგორიებად დაყოფაც არ არის აბსოლუტური.

ლიტერატურა:

1. არველაძე მ., დემეტრაძე თ. (2023): ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. Sussman F., (2012): More than word. Hanen Centre Publiction
3. Pepper J., Elaine Weitzman., (2004): It Takes Two to Talk. Hanen Centre Publication
4. Westwoo P., (2002): Commomsense Methods for Children with Special Educational Needs. Paperback
5. https://www.asha.org/public/speech/development/speech-and-language/

Lida Oboladze, Ana Pipia
Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia
Lida.oboladze@atsu.edu.ge; pipiaanna75@gmail.com

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.50

The Importance of Speech Communication in the Process of Teaching a Language

Abstract

Using knowledge in practice is of greatest importance. Knowledge tends to be valuable when a student can effectively use it in practice. Refinement of a speech communication form, improvement of its skills is necessary in the process of practical teaching.

In the article, we will learn how student's academic performance depends on the teacher's communication skills and how significant the teacher's conversational language is for the students. It is also interesting to learn how to manage communication skills to improve teaching and learning process, how to develop verbal and non-verbal communication.

Key words: Speech Communication, Teaching of a Language